სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 138 (252) | სამშაბათი, 12 დეკემბერი | 1944 წ.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
თურქმენეთის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ოცი წლისთავის დღეს ძმურ სალამს უძღვნიან თურქმენეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა თურქმენეთის მშრომელებს განთავისუფლება მეფის მოხელეების, ხანების და ბაების ჩაგვრისაგან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თურქმენეთი მეფის იმპერიის ჩამორჩენილი განაპირა ქვეყნიდან ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით გადაიქცა აყვავებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

თურქმენმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ახლად შეიქმნა ნავთის, ქიმიური, კვების, საფეიქრო მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები. რესპუბლიკაში შექმნილია სოციალისტური სოფლის მეურნეობა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა. აგებულია სარწყავი ნაგებობათა მძლავრი სისტემა. თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ამუშავდა ასობით სკოლა, კლუბი, მრავალი სამკურნალო დაწესებულება, შეიქმნა საკუთარი თეატრები, უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. აყვავდა და მაღალ დონეს მიაღწია ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა თურქმენულმა კულტურამ. აღიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის დღეებში თურქმენეთის მშრომელებმა თავი გამოიჩინეს როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ერთგულმა პატრიოტებმა. თურქმენი ხალხის შვილები თავდადებულად იბრძვიან წითელი არმიის რიგებში საბჭოთა სამშობლოსათვის. თურქმენეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დაუღალავად მუშაობენ ფრონტის დასახმარებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ თურქმენი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად, შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, მთელ თავის ძალებს მოახმარს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურების დამთავრების საქმეს.

გაუმარჯოს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!
სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო — **საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელს რესპუბლიკის შექმნის ოცი წლისთავს.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის მშრომელებმა სახელოვანი გზა განვლეს ოცი წლის მანძილზე. საბჭოთა ხელისუფლებამ და სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ რესპუბლიკის მშრომელებს ფართო გზა გაუხსნეს სამეურნეო და კულტურული აყვავებისაკენ. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით, თურქმენეთის რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში თურქმენმა ხალხმა თავისი დიდი განძი შეიტანა საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო გმირულ ღონისძიებებში საძულველი მტრის გასანადგურებლად და საბჭოთა სამშობლოს ფარგლებიდან განსადევნად, მტრისა, რომელმაც ხელი აღმართა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით ჩვენი გმირი წითელი არმია, რომელიც ცოტას როდი ითვლის თავის რიგებში თურქმენი ხალხის სახელოვან შვილებს, წარმატებით ანადგურებს მტერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უსურვებს თურქმენ ხალხს შემდგომ მიღწევებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ თურქმენეთის სს რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, აღფრთოვანებულნი მამაცი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით, კიდევ უფრო დაძაბავენ თავიანთ შრომით ღონისძიებებს, რათა დააჩქარონ ჩვენი საბოლოო გამარჯვება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კომუნიკე გენერალ დე გოლისა და ბ-ნ ბიდოს მოსკოვში ყოფნის შესახებ

გენერალ დე გოლის, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის, და ბ-ნ ბიდოს, საგარეო საქმეთა მინისტრის, მოსკოვში ყოფნა აღინიშნა მრავალი გამოვლინებით იმ სიმპატიისა, რომელიც საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს აერთიანებს, და რომელიც ომის დროს გადატანილმა განსაცდელმა გააძლიერა.

საუბრები შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინთან და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვთან. ეს საუბრები სწარმოებდა იმ საკითხთა ერთობლიობაზე, რომლებიც ეხება ომის განგრძობას და მშვიდობიანობის ორგანიზაციას და, განსაკუთრებით გერმანიის პრობლემას. ამ საუბრებმა ცხადჰყო, რომ ორივე მთავრობას შორის არსებობს თვალსაზრისთა ფართო შეთანხმებულობა, აგრეთვე უაღრესად გულწრფელი სურვილი მჭიდრო თანამშრომლობისა.

ორივე მთავრობამ კვლავ დაადასტურა თავიანთი გადაწყვეტილება აწარმოონ საომარი მოქმედება გერმანიაზე სრულ გამარჯვებამდე და თავიანთი [illegible] ერთობლივად მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა თავიდან აიცილონ ყოველი ახალი აგრესია.

ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ორივე მთავრობამ ა. წ. 10 დეკემბერს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლის ტექსტიც ცალკე გამოქვეყნდება.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო

10 დეკემბერს მოსკოვიდან გაემგზავრნენ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო ნაციონალური თავდაცვის შტაბის უფროსის გენერალ ჟუენის, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნ მ. დეჟანისა და სხვათა თანხლებით.

გენერალი დე გოლი და ბ-ნი ჟ. ბიდო და მათი თანმხლები პირები ვაგზალზე გააცილეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. გ. დეკანოზოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ა. ფ. გორკინმა, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ფ. ი. გოლიკოვმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ვ. ასტაფიევმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

ვაგზალზე იყვნენ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირში ბ-ნი გარო, მოსკოვში მყოფი საელჩოების და დიპლომატიური მისიების მეთაურები და წევრები, სსრ კავშირში მყოფი საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალი პეტი, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლობის დიპლომატიური თანამშრომლები და სამხედრო მისიის წევრები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

გაცილებისას გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ვაგზალი მორთული იყო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ბაირაღებით.

გენერალ დე გოლის განცხადება

მოსკოვიდან წასვლისას, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა გენერალმა დე გოლმა ვაგზალზე კინოქრონიკის მიკროფონის წინ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„რამდენიმე დღე, რაც ჩვენ საბჭოთა რუსეთში გავატარეთ, მე ვფიქრობ, აღინიშნება ამ ომის ისტორიაში და, ვფიქრობ, იმ მოქმედებამაც, რასაც გაერთიანებული ერები მხარდამხარ შეასრულებენ მშვიდობიანობის პირობებში ყველა ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!" (ტასსი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

10 დეკემბრის განმავლობაში **უნგრეთის** ტერიტორიაზე **ბუდაპეშტის** ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბუიაკი, იპოლსეგი, დეიტარი, იპოლივეცი, დრეგელ პალანკი, სოდლიგეტი, ფელშეგედი, ალშოგედი** (12 კილომეტრზე **ბუდაპეშტის** ჩრდილოეთით), **სედი, ვაცრატოტი, ორსენტმიკლოში, ჩომადი, ერდევაროში, როხეიმტელეკი, დომონი** და რკინიგზის სადგურები **დეიტარი, იპოლივეცი, სედი, გედი, ორსენტმიკლოში**.

უნგრეთის ტერიტორიაზე შეტევითი ბრძოლების დროს 5-დან 9 დეკემბრამდე ჩათვლით **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 5.800 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

9 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 46 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 24 თვითმფრინავი.

11 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

11 დეკემბრის განმავლობაში **უნგრეთში** ქალაქ **მიშკოლცის** ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ხანგაჩი, ბოლდვა, შაიო-ეჩეგი, შაიო-კერესტური, ბაბონი, პილტაი, კაპოლნა, კონდო, რადოსტიანი** და რკინიგზის სადგური **ბოლდვა**.

ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები **შურანი, ვარშანი, ორხალომი ბონტი, ვერეშეგხაზი, სადა**.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

10 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში, ქალაქ მიშკოლცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ნ ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი და დაიკავეს რკინიგზის სადგური ბოლდვა, რომელიც 12

(დასასრული მე-4 გვ.).

ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" მეოთხე გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" მეოთხე გამოცემას.

ახალ გამოცემას წინა გამოცემასთან შედარებით დამატებული აქვს: თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ; უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 7 ნოემბრის ბრძანება; უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანება; უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 1 მაისის ბრძანება; ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი „პრავდის" კორესპონდენტის შეკითხვაზე (1944 წლის 13 ივნისი); თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავის შესახებ; უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 7 ნოემბრის ბრძანება.

წიგნი გამოდის 5 მილიონ ეგზემპლარად. (საქტაგი).

ფოტოსურათზე: მედლებით დაჯილდოებული რიგითი მებრძოლები ა. კუპრეჯანოვი, შ. მიქელაშვილი, ნ. მოლოტაძე ტაქტიკური მეცადინეობის შემდეგ ასწმენდენ შაშხანებს. ფოტო ვ. ჯაფარიძისა.

სამშობლოში!

ვიბორგი, 7 დეკემბერი. (საქტაგი). გუშინ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე მიიღეს საბჭოთა მოქალაქეების პირველი ეშელონი, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან ფინეთიდან, სადაც ისინი ძალად იყვნენ წაყვანილნი გერმანელებისა და ფინელების მიერ.

ეშელონში 602 კაცია. ყველა დაბრუნებული ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეა. საზღვარზე მათ გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები.

რამდენიმე საათის შემდეგ რკინიგზის შემადგენლობა ვიბორგისაკენ გაემართა. ორთქლმავალზე ამხანაგ სტალინის პორტრეტის გვერდით არის დიდი ტრანსპარანტი წარწერით: „გამარჯობა სამშობლოვ! მადლობა სტალინს!". ყველა ვაგონიდან ტირილი, მაგრამ გახარებული ადამიანები იცინიან. სამშობლო ქვეყანაში დიდი ხნის ნანატრი დაბრუნებით აღელვებული ადამიანები არაერთგზის უსურვებენ ჯანმრთელობას და „ვაშას" შესძახიან ამხანაგ სტალინს და განმათავისუფლებელ წითელ არმიას.

სადღესასწაულოდ მორთულ მოედანზე შესდგა ხანმოკლე მიტინგი. სიტყვით გამოვიდა კრასნოე სელოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლესოკოლხოზის" კოლმეურნე ანა ფილიპოვნა ხარამ. მისი ორი ვაჟი ფრონტზე ურტყამენ ფაშისტებს. ყველა მისულთა სახელით ხარამ დიდი მადლობის სიტყვებით მიმართავს საბჭოთა მეომრებს და დიდ სტალინს განთავისუფლებისა და მზრუნველობისათვის.

ყველა მისულმა მიიღო ცხელი საჭმელი, პროდუქტები და გაზეთები. დიდი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის წარმომადგენლებმა. მათ მოამზადეს სანიტარული პუნქტები, წითელი კუთხეები, საცნობარო ჯიხურები და სხვ.

საღამოს ეშელონმა გზა განაგრძო.

საფრანგეთის ორდენების გადაცემა

9 დეკემბერს საფრანგეთის საელჩოში შესდგა გადაცემა საფრანგეთის ორდენებისა, რომლებითაც საფრანგეთის მთავრობამ დააჯილდოვა წითელი არმიის მარშლები, გენერლები და ოფიცრები მამაცობისა და გმირობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს სარდლობის დავალების შესრულებისას საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ბრძოლის ფრონტზე.

საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურმა გენერალმა დე გოლმა საპატიო ლეგიონის ორდენის კომანდორის ჯვარი გადასცა ავიაციის მარშალ ფ. ი. ფალალეევს, არმიის გენერალ ა. ი. ანტონოვს, საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცრის ჯვარი გენერალ-მაიორ ვ. გ. სლავინს, გენერალ-მაიორ მ. ა. კუტუზოვს, ავიაციის გენერალ-მაიორ გ. ნ. ზახაროვს, ავიაციის გენერალ-მაიორ ს. ტ. ლევანდოვიჩს, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერის ჯვარი სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკ დ. ე. როზენბლიუმს, პოდპოლკოვნიკ ვ. მ. სტეფანოვს, სამედიცინო სამსახურის მაიორ ა. გ. კარავანოვს, მაიორ ი. ი. ბლოვენს, ინჟინერ-კაპიტან ს. დ. ბგაველიანს.

ორდენების გადაცემის შემდეგ არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა და გენერალმა დე გოლმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საქტაგი).

უფროს სერჟანტ გუბათაშვილის შეცდომები

საცეცხლე პოზიცია დაიკავა უფროს სერჟანტ გუბათაშვილის ქვემეხის გუნდმა. არტილერისტები მოემზადნენ პირდაპირი დამიზნებით სროლაში შეჯიბრებისათვის. მათ უნდა ესროლათ მოძრავი ტანკეტისათვის. მალე ჰორიზონტზე გამოჩნდნენ ტანკ-მაკეტები. მანძილი ტანკ-მაკეტებამდე 1200 მეტრია. რამდენიმე წამის შემდეგ ქვემეხის მეთაურმა კომანდა გასცა დაეშინათ ცეცხლი. მანძილი შემცირდა 900 მეტრამდე. მემიზნემ სერჟანტმა მაჩხანელმა გაისროლა. ჭურვი მიზანში არ მოხვდა.

საფრონტო გამოცდილება გვასწავლის, რომ მოძრავ ტანკებისათვის პირდაპირი დამიზნებით სროლის დროს აუცილებელია დაიცვა სიმშვიდე და გამოიჩინო გამძლეობა. მანქანები კი რაც შეიძლება ახლოს უნდა მოუშვა. ამით იზრდება სროლის სიზუსტე და ჭურვის ხვრეტითი ძალა. ნაადრევი სროლა კი მხოლოდ ეხმარება მოწინააღმდეგეს აღმოაჩინოს ბატარეის საცეცხლე პოზიცია და მთელი ძლიერებით დაატეხოს მას თავისი ცეცხლი.

უფროსმა სერჟანტმა გუბათაშვილმა მხედველობაში არ მიიღო ყოველივე ეს და ნაადრევად დაუშინა ცეცხლი, როცა ტანკები ჯერ კიდევ 900 მეტრზე იმყოფებოდნენ.

ეს იყო ქვემეხის მეთაურის პირველი შეცდომა.

გუნდი განაგრძობდა თავის საბრძოლო მუშაობას. უფროსი სერჟანტი ბინოკლით თვალ-ყურს ადევნებდა ჭურვების აფეთქებას. იგი მოწონებით წამოიძახებდა ხოლმე:

— სწორია!

სინამდვილეში კი ჭურვები მიზნიდან მოშორებით სკდებოდნენ. კარგად რომ დაკვირვებოდა, უფროსი სერჟანტი შეამჩნევდა ამას და შეიტანდა რა კორექტივას, დაეხმარებოდა მემიზნეს შეცდომის გასწორებაში, მაგრამ სროლის ტემპით გატაცებული უფროსი სერჟანტი „ბრძოლის" ველს თვალყურს ცუდად ადევნებდა.

ეს იყო ქვემეხის მეთაურის მეორე შეცდომა.

როდესაც ტანკების ჯგუფი საცეცხლე პოზიციას უახლოვდებოდა, უფროსმა სერჟანტმა კომანდა გასცა:

— მოიერიშე ტანკზე, ჯავშანმტვრევებით, ცეცხლი!

მაგრამ მემიზნემ ცეცხლი უკვე ტანკების მარცხენა ჯგუფზე გადაიტანა.

ამრიგად, ქვემეხის მეთაურმა დაჰკარგა თავისი გუნდის მართვის უნარი.

ეს იყო ქვემეხის მეთაურის მესამე შეცდომა.

საბრძოლო გამოცდილებით ცნობილია, რომ გუნდი მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს მაღალ ბრძოლისუნარიანობას, როდესაც მას მოხერხებულად მართავს მეთაური.

ცეცხლის ნაადრევად დაშენის, ჭურვების აფეთქებაზე თვალ-ყურის არასწორად დევნების, უსაფუძვლო კომანდებისა და გუნდის ცუდად მართვის შედეგად ქვემეხის მეთაურმა ვერ შეასრულა მის წინაშე დასმული ამოცანა. ხუთი ტანკიდან მხოლოდ ორი იქნა დაზიანებული. 15 ჭურვიდან მიზანს მხოლოდ ორი მოხვდა.

ლეიტენანტი ე. ფენიუკი.

მებრძოლო შეისწავლე შენი იარაღი

მებრძოლი ვალდებულია:

„ზედმიწევნით ჰქონდეს შესწავლილი თავისი იარაღი, იცოდეს მისი [illegible] გამოყენება და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ჰქონდეს იგი".

(ქვეითი ჯარის 1942 წ. საბრძოლო წესდება).

მე და ჩემი შაშხანა 3 წლის განუყრელი მეგობრები ვართ, ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, როგორც ღვიძლი ძმები.

შაშხანით ხელში შევხვდი დიდ-სამამულო ომს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლო მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად.

შაშხანით ხელში შევები ბრძოლაში გერმანელებს მშობლიური კავკასიის მთების კალთებში. სათუთად მოვლილი და ერთგული მეგობარი პირველ ცეცხლს აფრქვევდა, რისხვას ატეხდა საზიზღარ მტერს. რამდენჯერ მიხსნა მან უეჭველი სიკვდილისაგან!

კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა: მტრისათვის ზურგიდან უნდა შემოგვევლო. მივდიოდით ციცაბო ფერდობზე. მებრძოლი ვაშაკიძე ხევებში ჩახტომისას შაშხანას საყრდენად იყენებდა, ამიტომ სახეტი დაჰკარგა. უეცრად მტრის ორ ჯარისკაცს შევეჩეხეთ. ვაშაკიძე წინ მიდიოდა, ის საწრაფოდ გაჩერდა, მაგრამ სადღაა სახეტი? გაუფრთხილებლობამ იგი მკაცრად დასაჯა—მტრის ტყვიით მძიმედ დაიჭრა, ჩვენ კი ერთგულმა იარაღმა გვიხსნა, ამ იარაღითვე დავამარცხეთ ჩვენ გერმანელი ჯარისკაცები.

იარაღი მეომრისათვის ყველაფერია, იგი მისი ძალაა, მისი სიცოცხლის დამცველი, მისი გამარჯვების საწინდარი. იარაღიანი მებრძოლი მტრის რისხვაა, უიარაღო კი—მისი მსხვერპლი.

თუ ჩემ საყვარელ შაშხანას ბრძოლაში არ ეღალატნია, ამით იგი სამაგიეროს მიხდიდა მისდამი სიყვარულისა და მოვლისათვის. ჩემი მებრძოლი მეგობარი ერთგული იყო იმიტომ, რომ მე მუდმივად ვზრუნავდი მასზე, იგი ყოველთვის გაწმენდილი, დაზეთილი და ბრძოლისათვის მომზადებული მქონდა.

შაშხანა სათუთად მოპყრობას მოითხოვს, თუ შენ ლულას სისტემატურად არ სწმენდ—მასში ჟანგი ჩნდება, ჟანგი კი ლითონს სჭამს. გაწმენდის დროსაც სიფრთხილეა საჭირო. თუ ძენძი მეჭყიანია და მშრალად ეხება ლულას—ლითონი იფხაჭნება, რაც ტყვიის სწორ მიმართულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ყოვლად დაუშვებელია ლულის დარტყმა რაიმე მაგარ საგანზე, ამით შესაძლებელია ლულის გაღუნვა და იარაღის მწყობრიდან გამოყვანა.

ყოველდღე შეამოწმე შეუფერხებლად მოქმედებს თუ არა სკეტი, სავაზნე კოლოფი და სასხლეტი მექანიზმი, გამოდის ლულის ღრუს მეშვეობით ხომ არ არის იგი, შეამოწმე—ლულაზე წინამიწად არის თუ არა მორგებული სამიზნე, მიზანი.

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება მოითხოვს, რომ მებრძოლმა სრულყოფილად იცოდეს თავისი იარაღი.

თუ შენ კარგად არ იცნობ შაშხანის მატერიალურ ნაწილებს, მათ ურთიერთმოქმედებას, ვერასოდეს ვერ იქნები ზუსტი მსროლელი. შაშხანასაც აქვს შეფერხებანი სროლის დროს. თუ არ იცი რა იწვევს ამ შეფერხებას, მას თავიდან ვერ აიცილებ და შუა ბრძოლაში იარაღი დაგიდუმდება. შეფერხებანი რომ არ მოგივიდეს, ანდა სწრაფად რომ აიცილო თავიდან იგი, საჭიროა სრულყოფილად იცოდე შენი იარაღი.

როცა კარგად იცნობ შაშხანის მატერიალურ ნაწილს, ადვილად შეგიძლია ივარჯიშო სროლაში. აქ შეუპოვარი და სისტემატური მუშაობაა საჭირო. სროლის ყველა ილეთის სრულყოფილად შეთვისება ერთი-ორი წვრთნით არ შეიძლება. ერთი და იგივე ილეთი ათეულჯერ, ხუთმეტჯერ განიმეორე—სამაგიეროდ კარგად გაიწვრთნები.

აი ვიტყვი ჩვენი ათეულის შესახებ: მებრძოლი მექვაბიშვილი სუსტად იცნობდა შაშხანას. მას სკეტის დაშლა-აწყობაც კი არ შეეძლო. ათეულის მეთაურმა მე მომანდო მასთან მუშაობა. ამხ. მექვაბიშვილთან მე სისტემატურად ვმეცადინეობდი. მატერიალური ნაწილი რომ შეისწავლა, დამიზნებაზე გადავედით. აქ კი მართლაც დაძაბული მუშაობა გვჭირდებოდა. წოლით სროლის ილეთი მას 10-12-ჯერ გავამეორებინე. ასევე დაძაბულად ვმეცადინეობდით დამიზნებაში, განსაკუთრებით სუნთქვის შეკავებასა და ფეხის გამოწევაში. სამაგიეროდ ახლა ამხ. მექვაბიშვილი საუცხოო მსროლელია.

სროლას აქვს თავისი წესები, რომლის ზუსტად დაცვა ეფექტური წარმატების საწინდარია. დამიზნებისას იარაღი ხელში კარგად მოირგე. ნიშანი სამიზნე ამონაჭერის შუაგულში მოიყოლე, ხოლო მიზანი ზემოდან ლესე, განსაზღვრე მანძილი მიზნამდე და კარგა დაჰყევი. თუ გვერდიდან ქარია, გაითვალისწინე მისი გავლენა და ამ შემთხვევაში ნიშანი გვერდით აიღე, სუნთქვა შეიკავე, ფეხი ნელა გამოწიე.

მებრძოლისათვის საკმარისი არაა, რომ მან მხოლოდ შაშხანა იცოდეს საფუძვლიანად. ბრძოლაში საქმე გვაქვს მრავალგვარ იარაღთან. ამიტომ თვითეული მათგანის ხმარებაც უნდა შეგეძლოს. საფრონტო გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მებრძოლი სრულყოფილი მეომარი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ მან შაშხანასთან ერთად კარგად იცის ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევის, ავტომატისა და ხელის გრანატის სროლაც. მე მტკიცედ მოვკიდე ხელი ამ იარაღების შესწავლას და საკმაო წარმატებასაც მივაღწიე. ფრონტზე მე მომიხდა სანაღმტყორცნე მეკავშირეებთან მოქმედება, ამ მრისხანე იარაღმა მეტისმეტად დამაინტერესა, შევისწავლე მისი მატერიალური ნაწილი და ახლა თამამად შემიძლია მისი სროლა მიზანში.

ყველა სახის საბრძოლო იარაღის შესწავლა რთული საქმეა. ამ ამოცანას ვერ განახორციელებ, თუ ფრონტზე არ იცი რუსული სახაზინო შაშხანა, თუ არა ხარ მისი ცეცხლის დაშენის ოსტატი. როგორც მოსწავლისათვის, პირველყოვლისა, აუცილებელია ანბანის შესწავლა, ისე მებრძოლისათვის საჭიროა შაშხანის ცოდნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაუადვილდება მას უფრო რთული იარაღის გამოყენება.

რიგითი მებრძოლი ვ. ბაბალეიშვილი
კავკასიის დაცვის მონაწილე.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანი

ვახტანგ ჩიქოვანი დაიბადა 1919 წელს სამტრედიაში, ცხოვრობდა აბაშის რაიონში, სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში. 1938 წელს იგი შევიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ვ. ჩიქოვანი მე-4 კურსზე იყო. 1941 წლის ოქტომბერში ჩიქოვანი მიდის წითელ არმიაში და ხდება N სამხედრო აკადემიის მსმენელი.

სპეციალური სამხედრო ცოდნის მიღების შემდეგ ვახტანგ ჩიქოვანი მიდის ლენინგრადის ფრონტზე, შემდეგ კი მონაწილეობს საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ჩიქოვანი ხშირად მიდიოდა საბრძოლო დავალებებზე და სანიმუშოდ ასრულებდა მათ. აქვე, ფრონტზე, იგი შევიდა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში.

— ფრონტელ მეგობრებთან ერთად ჩვენ ვათავისუფლებდით მშობლიურ ჩვენს უკრაინას, — სწერს ჩიქოვანი, — ამ ბრძოლებში მე დამაჯილდოვეს სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით და მივიღე დიდი სტალინის მადლობა. მომავალ ბრძოლებში უფრო მაგრად დავარტყამ გერმანელ დამპყრობლებს.

ჩიქოვანმა შეასრულა თავისი სიტყვა, ამას სწერენ და მოგვითხრობენ მისი ფრონტელი მეგობრები.

უდიდესი გმირობა გამოიჩინა ჩიქოვანმა ქალაქ ჩერკასისათვის ბრძოლებში. გერმანელები პიონერთა სასახლეში გამაგრდნენ და ძნელი გახდა მათი იქიდან განდევნა. ჩიქოვანი ავტომატჩიკთა ოცეულით ბნელი ღამის საფარქვეშ შეიჭრა სასახლის შენობაში და გაჟლიტა გერმანელები.

ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს დნეპრი და მიადგნენ სოფელ რუსკაია პოლიანას ქალაქ ჩერკასის რაიონში. გერმანელები გააფთრებით იცავდნენ ამ სოფლის დასავლეთ განაპირა უბანს. ნაწილის მეთაურმა გაგზავნა ჩიქოვანი ბრძოლის მიმდინარეობის შესამოწმებლად. როდესაც იგი მივიდა უშუალოდ წინა კიდესთან, მან შეამჩნია, რომ გერმანელები სხდებიან მანქანებში და გაქცევას აპირებენ. ჩიქოვანი მიეჭრა ერთ-ერთ მანქანასთან, შეიპყრო იგი და მოიყვანა ნაწილის შტაბში ოფიცრიანად და შოფერიანად.

ერთხელ ჩიქოვანი შტაბში ბრუნდებოდა ბრძანების შესრულების შესახებ მოსახსენებლად. ჯერ ორი კილომეტრიც არა ჰქონდა გავლილი, როდესაც შეამჩნია, რომ ერთ-ერთ სახლში იმალებოდნენ გერმანელები. ჩიქოვანი და მისი მეგზურები მიუახლოვდნენ სახლს. გერმანელებმა მათ სხვენიდან სროლა დაუწყეს. მაშინ ჩიქოვანმა გრანატი სტყორცნა სხვენს. გაისმა აფეთქება. ჩიქოვანი და მისი მეგზურები ავტომატებით აიჭრნენ სხვენში. ერთი გერმანელი დაჭრილი იყო, მეორე მოკლული ეგდო, ხოლო ორი ტყვედ წამოიყვანეს.

გულად და მამაც ოფიცერს ვახტანგ ჩიქოვანს იცნობდნენ და უყვარდათ დივიზიაში, არმიაში. ამ ძლიერ ფრონტელ მეგობრობაზე ლაპარაკობენ ჩიქოვანის მებრძოლი მეგობრების გულთბილი წერილები. აი ერთი მათგანი, რომელიც მიიღო ჩიქოვანის დამ.

„მე ძალიან მწუხარ, რომ უნდა შეგატყობინოთ ძალიან სამწუხარო ამბავი. დღეს გერმანელ არამზადათა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში ყუმბარის ნამსხვრევით მძიმედ დაიჭრა თქვენი ძმა, ხოლო ჩემი საუკეთესო მეგობარი ვახტანგი. იმავე დღეს ვახტანგი გარდაიცვალა. ფიცს გაძლევთ შური ვიძიო ჩემი საუკეთესო მეგობრისათვის. მე ახლა ვარ ჩვენი ნაწილის დაზვერვის უფროსი. ჩემი მებრძოლები კარგად იცნობდნენ ჩვენს ვახტანგს და ყველა მათგანმა ფიცი დადო შური იძიოს იმისათვის. პატივისცემით [illegible] ანისიმოვი“.

აი კიდევ მეორე წერილის ამონაწერი:

„გუშინ 12 საათზე და 30 წუთზე ჩვენ დავასაფლავეთ ჩვენი ძვირფასი ვახტანგი. იმავე დღეს ჩვენ შურით, დასავლეთისაკენ წავედით. და თუმცა ვახტანგი აღარ არის, იგი მაინც მუდამ ჩვენთან იქნება. თუ მოვკლავ გერმანელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად მოვკალით იგი. თუ მოვკლავ ორ გერმანელს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თითო-თითო მოვკალით. ჩვენ მათ დავხოცავთ ათობით და ასობით, ჩვენ მათ ვჟლეტთ, სანამ არ მოვსპობთ ფაშიზმს!“

ვახტანგ ჩიქოვანი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც სახელი მოუხვეჭა თავის ნაწილს. ამიტომ მისი სახელი ჩაწერილია ნაწილის გმირთა წიგნში. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ს. რიჟინაშვილი

მამაცი მზვერავი უფროსი სერჟანტი მიხეილ ვლადიმერის-ძე ავალიანი

ღამეა. მთვარე ხან ღრუბლებს მოეფარება, ხან ერთი წუთით გამოიხედავს და მკრთალ შუქს მოჰფენს მიდამოს.

უხმოდ მიიპარებიან მტრის წინა კიდისაკენ მზვერავები. ისინი ოსტატურად იყენებენ მთვარის შუქს და ადგილმდებარეობის რელიეფს. აი მტრის დანაღმული ველიც. ოფიცერმა გასცა ბრძანება გასასვლელის გაკეთების შესახებ. სულ მცირე ხანში ბრძანება შესრულებულია. მზვერავთა ჯგუფი გაქრა წყვდიადში.

გერმანელთა ტრანშეა. მიწური. მახლობლად გუშაგი დგას. მზვერავებმა სწრაფად მოუღეს მას ბოლო. ოფიცერი აძლევს ბრძანებას: „დაარტყით სანიშნებს!“ — და პირველი სტყორცნის მიწურს გრანატს. მას მიჰყვებიან პონომარევი და ავალიანი. მიწურში ცოცხალი არავინ დარჩენილა. მზვერავებმა ამოცანა შეასრულეს.

აქეთ-იქიდან გერმანელებმა ტყვიამფრქვევების უწესრიგო სროლა ატეხეს. მზვერავებმა სწრაფად გადმოიარეს ფრონტის ხაზი და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

მეორე მზვერავთა ოცეული მიდიოდა ჩვენი საბრძოლო წყობების წინ და გულმოდგინედ ათვალიერებდა მიდამოს. გერმანელები, რომლებსაც წინა ღამეს ჩვენმა მებრძოლებმა მძლავრი დარტყმით წაართვეს დასახლებული პუნქტი, სწრაფად იხევდნენ უკან და ცდილობდნენ მდინარეზე გადასვლას.

მზვერავთა ოცეულს დავალებული ჰქონდა დაეკავებინა გადასასვლელი და საშუალება მიეცა ჩვენი ნაწილებისათვის ფეხდაფეხ გამოდევნებოდნენ მტერს.

ბუჩქნარებში ხან ხოხვით, ხან გადარბენით, მზვერავები მიუახლოვდნენ მდინარეს. გერმანელები ხიდს უკვე ასაფეთქებლად ამზადებდნენ. საჭირო იყო მათთვის ხელის შეშლა.

ჩვენმა მებრძოლებმა ერთ ადგილას მდინარეზე ფონი ნახეს, გადავიდნენ წყალში და მიუახლოვდნენ ხიდს. ხიდთან მდგომი გერმანელთა ჯგუფი შესდგებოდა ოცეულისაგან, რომელსაც ორი ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი ჰქონდა. ცოტა მოშორებით იდგა ოთხი ნაღმსატყორცნისაგან შემდგარი ბატარეა, რომლის ლულები პირდაპირ ხიდს უმიზნებდნენ.



მზვერავები ორად გაიყვნენ. ხუთი მათგანი მიეპარა ბატარეას და გრანატები სტყორცნა, თან ავტომატები დაუშინა. მოულოდნელობით თავზარდაცემულმა გერმანელებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრეს და ჩვენებმა ისინი ერთიანად გაჟლიტეს, ერთი ნაღმსატყორცნი დააზიანეს, დანარჩენი ჩაიგდეს ხელში.

სანამ ერთი ჯგუფი ბატარეას უსწორდებოდა, მზვერავებმა ავალიანმა, ქიქინმა, ზარიანმა და ტრიფონოვმა ფლანგიდან დაარტყეს ხიდთან მყოფ გერმანელებს.

ორიოდე წუთში ყველაფერი დამთავრებული იყო. მზვერავებმა მოაბრუნეს ნადავლი ნაღმსატყორცნები მტრისაკენ და დაუშინეს მას ცეცხლი.

ფაშისტებმა სცადეს დაკარგული პოზიციის დაბრუნება, ორი საათის განმავლობაში იგერიებდნენ გმირი მზვერავები მათს კონტრიერიშებს, სანამ ჩვენი ნაწილები მოვიდოდნენ.

მზვერავები გზატკეცილთან იყვნენ ჩასაფრებული. „მოლნე“ სპირალებიდან და გერმანელების გამოჩენას ელოდნენ. გამოჩნდნენ კიდეც: რახრახით მოდიოდა ორი ტრაქტორი, რომლებზედაც იჯდა 10-მდე გერმანელი. მზვერავები ამოხტნენ თავშესაფარიდან და ტრაქტორები გააჩერეს. მზვერავი ხრებტოვი ველში სწვდა ტრაქტორზე მჯდომ ერთ გერმანელს, ავალიანმა იტაცა იგი და ბუჩქებში გააქცია. გერმანელებმა სროლა ატეხეს, მაგრამ მებრძოლმა ტრიფონოვმა გრანატი სტყორცნა და ყველაფერი კვამლში და მტვერში გაეხვია. მზვერავებმა ისარგებლეს ამით და მიიმალნენ.

ხიფათითა და გმირობით აღსავსე სამი წლის საფრონტო ცხოვრებამ მტკიცედ დააკავშირა ურთიერთ მზვერავები ვასია პოდმარკოვი, ცორა ხრებტოვი, ტოლია ტრიფონოვი, ზაზუშკინი და მიხეილ ავალიანი. „დიდხანს ვერ ვბედავდი ამ გულად მეომართან ერთად დაზვერვაში წასვლას,— სწერს ავალიანის მახლობლებს ვ. პოდმარკოვი,— მაშინ მკაცრი და მიუკარებელი მეგონა. მაგრამ თურმე გულკეთილი, აქ ადამიანის გამოსაცნობად საკმარისია ერთხელ წახვიდე მასთან საბრძოლო დავალების შესასრულებლად, რომ მაშინვე გამოჩნდება მისი კარგი და ავი თვისებები. ახლა ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ. ავალიანით ამაყობთ არა მარტო ჩვენ, მისი მეგობრები, ავალიანით ამაყობს მთელი ჩვენი პოლკი, როგორც მამაცი უნარიანი მზვერავით. მის საგმირო საქმეებს იცნობენ მეზობელი შენაერთები. მასთან არ გვეშინია წასვლა, რაც უნდა ძნელი დავალება იყოს“.

მიხეილ ვლადიმერის-ძე ავალიანი დაიბადა 1920 წელს თბილისში. 1938 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1939 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში.

მამაცი მზვერავი უფროსი სერჟანტი მიხეილ ავალიანი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით და ორი მედლით „მამაცობისათვის“.

მიხეილ ავალიანი ახლა მტრის ტერიტორიაზე იბრძვის ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ნინო მშველიძე

კარპატებში

ძირს, უფსკრულებში მტვრევით, განგაშით
გადაიჩეხა მტრის შავი რაზმი.
ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით,
გამარჯვებული და ბუმბერაზი.
აი მოვედი სანუკვარ გზამდე, —
იშლება ველი ჩრდილდაფენილი.
ნაბიჯის სიგრძე ბრძოლებით ვზარდე.
აქედან მოსჩანს ბნელი ბერლინი.
აი ბილიკი, ხავსიან კლდეზე
დაკიდებული თოკივით ობლად.
თითქოს წარსული წამოდგა ზეზე,
იღვიძებს დღეთა მარადისობა.
თითქოს ეს ხენიც — განმდგარნი ლოდებს,
ცოცხლად შერჩენილ რტოთა ფიორით
მეუბნებიან: იდგაო ოდეს
ამ გზა-ბილიკზე ბაგრატიონი.
გავხედე კარპატს ნაომარს გუშინ,
შემომაგებეს ლიმი გორებმა
და სიხარული შეიჭრა გულში,
როგორც სიმღერა და შთაგონება.
ბაგრატიონის ხმა მესმის სრული...
და უსასტიკეს ხეობის იქით,
ის, წინაპარი ჩემი მამულის,
ხმალშემართული მინათებს ბილიკს.

უფრ. ლეიტენანტი ა. თოფურია.



ბელორუსიის მე-2 ფრონტი. მსროლელთა ქვეგანაყოფი მარშზე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
11 დეკემბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

კილომეტრზე იმყოფება მიშკოლცის ჩრდილოეთით. მთიან ადგილში მოქმედმა ჩვენმა სხვა ნაწილებმა, ღამის განმავლობაში გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაართვეს 4 საზენიტო ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი და სამხედრო მასალის საწყობი.

* * *

ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები ცრჰალომი და გოდი, რომლებიც მდინარე იპოლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობენ. გერმანელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. საბჭოთა კავალერისტებმა გაანადგურეს ორ ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი.

* * *

გაფართოებული ბრძოლები გრძელდებოდა ბუდაპეშტის მისადგომებზე. მტერი ეყრდნობოდა ხანგრძლივ თავდაცვით ნაგებობებს და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. ჩვენმა ქვეითებმა და ტანკისტებმა, რომლებსაც არტილერია ეხმარებოდა, ჰიტლერელები განდევნეს ლიდი დასახლებული პუნქტებიდან — ვეჩეშ-ხაზიდან და სოროქსარიდან (17 კილომეტრზე უნგრეთის დედაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით). ბრძოლის ველზე დარჩა ასობით მტრის გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 22 ტანკი. ტყვედ წამოყვანილია 800 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში სწარმოებდა საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის კანტიკუნტი სროლა მოწინააღმდეგესთან. ჩვენი მფრინავები, მიუხედავად წვიმისა და დაბალი ღრუბლიანობისა, გაცხარებით აწარმოებდნენ მტრის ტერიტორიაზე. ავიაციის მოქმედების შედეგად ტრონბურგისა და ლიკის რაიონების სადგურებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 6 ორთქლმავალი, 25 სარკინიგზო ვაგონი და აფეთქდა სამხედრო ეშელონი. ფრონტისპირა ზოლში საბჭოთა მფრინავებმა გერმანელთა 20 ავტომანქანა დაამსხვრიეს.

სნაიპერმა უმცროსმა სერჟანტმა ეფიმენკომ ერთ კვირაში 8 გერმანელი დახოცა, უმცროსმა სერჟანტმა კოვალენკომ უკანასკნელ დროს 10 ჰიტლერელი მოკლა. უმცროსმა სერჟანტმა ფედოროვმა, რომელიც საბრძოლო დაცვაში იმყოფებოდა, მოწინააღმდეგის სამი ჯარისკაცი მოკლა.

* * *

ქალაქ ოსტროლენკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მეთვალყურეებმა შეამჩნიეს, რომ ფრონტის ხაზის გასწვრივ გერმანელთა ქვეითი ჯარი მოდიოდა. ნ შენაერთის არტილერისტებმა სროლა გაიხსნეს და გაანადგურეს ჰიტლერელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი. გზაში დარჩა ბევრი მოკლული და დაჭრილი გერმანელი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავები ღამით მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ. საბჭოთა მებრძოლებმა დახოცეს 26 გერმანელი, წამოიყვანეს ტყვეები და დაუზიანებლად დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ერთ უბანზე გერმანელთა რაზმი თავს დაესხა ჩვენს საბრძოლო დაცვას. დაცვაში იმყოფებოდა უფროსი სერჟანტ ბელოვის მეთაურობით. მათ გაახსნეს ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ცეცხლი. მთვრალი ჰიტლერელები, მიუხედავად ზარალისა, ცდილობდნენ წინ გამოჭრილიყვნენ. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატები ესროლეს და მოწინააღმდეგის თითქმის მთელი რაზმი გაჟლიტეს. მხოლოდ რამდენიმე გერმანელმა მოახერხა უკან გაქცევა.

* * *

ქალაქ ოსტროლენკის სამხრეთ-დასავლეთით წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 299-ე ქვეითი დივიზიის ოთხი ჯარისკაცი — სამი ფრანგი და ერთი პოლონელი. გადმოსულმა ფრანგებმა რიშარდ მაიერმა, ქიზეიმ კალერმა და ალბერტ ზიეფრიდმა განაცხადეს: „299 დივიზიაში მსახურობს ათობით ფრანგი, პოლონელი და იუგოსლაველი, რომლებიც ძალით არიან შერეკილნი გერმანიის არმიაში. ყველა მათ ერთი საიდუმლო სურვილი აქვთ — თავი დააღწიონ ფაშისტთა არმიას და მოიშორონ საძულველი გერმანული მუნდირი. პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ყველა ცდილობს გაიქცეს. გერმანიის სარდლობა არ გვენდობოდა და მოგვიჩინა ჯაშუშები, რომლებიც კვალდაკვალ დაგვდევდნენ. უკანასკნელ დროს იწყეს არაგერმანელი ეროვნების ჯარისკაცების მოხსნა მოწინავე ხაზიდან და გადაყვანა სპეციალურ სათადარიგო ქვეგანაყოფებში, მაგრამ იქიდანაც შეიძლება გაქცევა, თუმცა ეს რამდენადმე უფრო ძნელია. ჩვენ სამნი სტრასბურგელი ფრანგები ვართ, მეოთხე ჩვენი ამხანაგი კი სილეზიელი პოლონელია. აქ ცოტა ხნის წინათ გავეცანით ერთმანეთს, მაგრამ მალე გამოვნახეთ საერთო ენა და შევთანხმდით რუსთა მხარეზე გადმოსვლაში. ჩვენ ყველას თანაბრად გვძულს გერმანელები და გვსურს იარაღით ვიბრძოლოთ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ".

ფრონტის სხვა უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა იუგოსლაველი მოქალაქე ძ., ჰიტლერელთა მიერ აგრეთვე ძალად გაწვეული გერმანიის არმიაში. გადმოსულმა საბჭოთა ქვეგანაყოფის მეთაურს აცნობა, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინაყოფითან მდებარე მიწურში იმყოფება ათი გერმანელი ჯარისკაცი. მან სთქვა, შეიძლება მათი ტყვედ წამოყვანაო, და თავისი სამსახური შემოგვთავაზა. ჩვენი მებრძოლების ჯგუფის თანხლებით გადმოსული მიწურთან მივიდა და გერმანელებს განუცხადა, გარშემორტყმული ხართო. მან გააფრთხილა ისინი, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს, სიცოცხლეს გამოეთხოვებაო. ათივე გერმანელი ტყვედ დანებდა და მოყვანილ იქნა ჩვენს განლაგებაში.

საზღვარგარეთ
საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 11 დეკემბერი. (საკუთ.). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

10 დეკემბერს მოკავშირეთა ჯარები წინ მიიწევდნენ აახენის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში.

ბრძოლები სწარმოებს სამ მილზე მიურტგენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამავე რაიონში გაწმენდილია ქალაქი შტეპერგი.

მდინარე საარის ხეობაში დილინგენის რაიონში მოგერიებულია მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ორი კონტრიერიში. საარლაუტერნში ჯერ კიდევ სწარმოებს ბრძოლები თვით ქალაქში. მდინარე საარი გადალახულია საარგემინდთან; ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლები სწარმოებს ქუჩებში.

7 მილზე საარგემინდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარები გროს რედერშინგენს მიადგნენ. მოკავშირეებმა დაძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და შევიდნენ ჰაგენაუში, სადაც ბრძოლები გრძელდება. ვოგეზში კოლმარის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ნაწილებმა რამდენიმე მილით წაიწიეს წინ, უფრო სამხრეთით კი ტანი.

10 დეკემბრის განმავლობაში გამანადგურებელი ბომბდამშენები ურტყამდნენ სატრანსპორტო ობიექტებს ჩრდილო და აღმოსავლეთ ჰოლანდიაში, აგრეთვე გერმანიაში.

ლონდონი, 11 დეკემბერი. (საკუთ.). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის აუზის რაიონზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-8 არმიის ინგლისელთა ნაწილები გაფართოებულ ბრძოლებს აწარმოებენ ქალაქ ფაენცის სამხრეთ-დასავლეთით. მე-5 არმიის სექტორში აქტიურად მოქმედებდნენ პატრულები. არსებითი ცვლილება მოკავშირეთა ჯარების პოზიციებში არ მომხდარა.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 2.100 თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

რეიტერის სააგენტო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკუთ.). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადებას მეტად გულთბილად შეხვდნენ ინგლისის ოფიციალურ წრეებში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ახალი ხელშეკრულება დამატება გახდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის 1944 წლის ხელშეკრულებისა, და სწერს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერით მშვიდობიანობისა და უშიშროების საფუძვლები ევროპაში განუზომლად განმტკიცდება.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 11 დეკემბერი. (საკუთ.). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის 600 ბომბდამშენი, 800 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა რკინიგზის დეპოებს ფრანკფურტში, ჰანაუსა და გისენში.

ინგლისის ბომბდამშენები ავიაგამანადგურებლების თანხლებით თავს დაესხნენ დამბარის ხიდს ჰაგენაუსა და ბესხოლის ქარხანას ოსტერფელდში და ბეხოლის ქარხნებს მიოლჰაიმსა და ბრიუკჰაუზენში.

ინგლის-ამერიკის ერთობლივი განცხადება საზღვაო ომის შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკუთ.). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ზღვაზე ომის შესახებ ჩერჩილისა და რუზველტის სახელით გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია:

„მოკავშირეთა გემების დანაკლისი, გამოწვეული წყალქვეშა ნავების მოქმედებით, კვლავ ძლიერ უმნიშვნელო იყო, ხოლო ჩაძირული წყალქვეშა ნავების რაოდენობა პროპორციულად დამაკმაყოფილებელი იყო".

განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია: „მოწინააღმდეგეს სრულებითაც არ აქვს ხელი აღებული ბრძოლაზე. მან შემოიღო ახალი გაუმჯობესებანი, როგორც, მაგალითად, ჰაერის უფრო სრულყოფილი გამწოვი, რაც საშუალებას აძლევს წყალქვეშა ნავებს ხანგრძლივად დარჩნენ ჩაყვინთულ მდგომარეობაში და ამის მეოხებით შეაღწიონ იმ რაიონებში, რომლებიც სამი წლის წინათ მათთვის მიუწვდომელი იყო. ცნობები იმის შესახებ, რომ წყალქვეშა ნავების წარმოება შემცირებულია, ეჭვს იწვევს, იმპერიალისტური გერმანელების მიერ და სინამდვილეს არ შეესაბამება.



სამშაბათი

1937 — სსრ კავშირის მშრომელებმა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ერთსულოვნად აირჩიეს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭო. არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა სრულ გამარჯვებას მიაღწია.

ნარევი
ტრიუმფი და ოვაცია

ბევრ ჩვენგანს წაუკითხავს ან ზეპირად ეტყვის ხოლმე „გმირთან შეხვედრა ნამდვილი ტრიუმფი იყო" ან „პარლამენტში ოვაციით შეხვდნენ". ყველას ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ ცოტას იცის, თუ საიდან წარმოიშვა ეს სიტყვები. მათი ისტორია ძალზე ძველია.

ტრიუმფი და ოვაცია ძველ რომში დღესასწაულებს ეწოდებოდა. ამ დღესასწაულებს აწყობდნენ რომის სენატის სპეციალური დადგენილებით სახელგანთქმული მხედართმთავრის პატივსაცემად და თვითეულ დღესასწაულს თავისი პროგრამა ჰქონდა.

ტრიუმფი გრანდიოზული დღესასწაული იყო. ტრიუმფატორის მოწვევით ყვავილებით მორთული მთელი ქალაქი, სადღესასწაულო მსხვერპლშეწირვაზე ჰკლავდნენ ხარს, ხოლო სინატს, რომელიც ეტლით შემოდიოდა ქალაქში, თავზე ადგამდნენ დაფნის გვირგვინს. როცა ამა თუ იმ სახელოვანი მხედართმთავარი მოკვდებოდა, საფლავზე მას აწერდნენ ძველ წარწერას: „სიცოცხლეში იგი ღირსი გახდა ტრიუმფისა".

ოვაციის პროგრამა უფრო პატარა იყო. მხედართმთავარი, რომელსაც ეს პატივი ხვდებოდა წილად, შედიოდა რომში ფეხით ან ცხენით. მას მიაცილებდა მცირე ამალა. მხედართმთავარს თავზე ადგამდნენ არა დაფნის, არამედ მირტის გვირგვინს. მის პატივსაცემად ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ არა ხარს, არამედ ცხვარს. ლათინურად ცხვარს „ოვის" ჰქვიან. აქედან წარმოიშვა სიტყვა ოვაცია.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე შ. დარასელი

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით, 16 დეკემბრიდან თბილისში ტარდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა. დეკადაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორთა მიერ სამამულო ომის დღეებში შექმნილი რიგი ნაწარმოებები.

დიდმა სამამულო ომმა ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებითი მუშაობა უფრო გააცხოველა. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ აღაფრთოვანა კომპოზიტორები ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებშიც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ხალხის სიყვარულმა თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, შეურიგებელმა სიძულვილმა მტრისადმი.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არის შთაგონებული სტალინური პრემიის ლაურეატების გრ. კილაძისა და შ. მშველიძის, კომპოზიტორების ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების შ. თაქთაქიშვილის, ი. ტუსკიას, ა. ბალანჩივაძისა და სხვ. შემოქმედება.

ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორებმა ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს ომის დღეებში. ეს ნაწარმოებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სტილით, ხასიათითა და ნაციონალური იერით, მაგრამ ყველა ისინი გამსჭვალული არიან საბჭოთა პატრიოტიზმის სულით. დეკადა საშუალებას მისცემს მსმენელთა ფართო მასებს გაეცნონ ამ ნაწარმოებებს, ერთგვარი ჯამი გაუკეთონ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპოზიტორთა შემოქმედებით მუშაობას სამამულო ომის პერიოდში.

დეკადაში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი კაცი: 350 კაცი აზერბაიჯანიდან, 280 სომხეთიდან, 400 საქართველოდან. დეკადაზე გამოვიან სიმფონიური ორკესტრები, ვოკალისტ-სოლისტები, მუსიკოს-შემსრულებლები, ხალხური ანსამბლები. ქართულ მუსიკის დეკადაზე მიეძღვნება 5 კონცერტი, მათ შორის 3 სიმფონიური. სიმფონიურ კონცერტებზე შესრულებული იქნება შ. მშველიძის სიმფონია № 2, ა. ბალანჩივაძის სიმფონია № 1, გრ. კილაძის სიმფონია № 1, ორი არია შ. აზმაიფარაშვილის ოპერიდან „ხევისბერი გოჩა", ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრით, ი. ბარამიშვილის სიმფონიური სიმღერები სამამულო ომის თემაზე, რ. გაბიჩვაძის სიმფონიური პოემა „გამზრდელი" (ა. წერეთლის მიხედვით), შ. თაქთაქიშვილის საზეიმო უვერტიურა, ი. ტუსკიას ერთნაწილიანი კონცერტი ვიოლინოსათვის ორკესტრით, გ. თორაძის სიმფონიური უვერტიურა.

კამერულ კონცერტებზე შეასრულებენ შ. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო ტრიოს და ოთხ საფორტეპიანო პიესას, ა. ანდრიაშვილის, ნ. ნარიმანიძის და რ. გაბიჩვაძის სიმებიან კვარტეტებს, ჩიმაკაძის ნაწარმოებს ხის სასულე ინსტრუმენტების კვარტეტისათვის (ეს კვარტეტი ახლახან დაარსდა და მასში შედიან მ. კახიანი, კეშელაძე, ჩიკვაიშვილი და მენაბდიშვილი).

კონცერტებზე სოლისტებად გამოვლენ სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე, მ. ამირანაშვილი და ნ. ცომაია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტები ვ. მაჭუტაძე (როიალი) და ლ. შიუკაშვილი (ვიოლინო). დირიჟორობენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი შ. აზმაიფარაშვილი და ი. დიმიტრიადი, რესპ. დამსახურებული არტისტი ა. გაუკი.

საგუნდო ანსამბლებიდან დეკადაზე მონაწილეობენ მეზურნეთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, ქართლ-კახური გუნდი მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით და ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გრ. კოკელაძის ხელმძღვანელობით. მეზურნეთა ანსამბლი შეასრულებს ქ. ფოცხვერაშვილის „სიმღერას სტალინზე", ხალხურ სიმღერებს „დაუსრულებელი სიყვარული", „თუშური", „სიმღერა", ქალთა ცეკვას „ვისია, ვისია", ქალ-ვაჟთა ცეკვას „ჩეჩვი გოგო მე და შენ" და „საკოლმეურნეო ცეკვას".

ქართლ-კახური გუნდი შეასრულებს „კახურ მგზავრულს", „ქართლურ მუშურს", „ზამთარს", „დიდებას", „მუხრანულ ლაშქრობას", „მოხეურ ცეკვას", „ძველი თბილისის ცეკვას".

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი შეასრულებს სიმღერას — „პატარა გოგონა", დიდებულ ლიკურით, „სიმღერას სიყვარულზე" (მუსიკა გრ. კოკელაძისა), ქალთა ცეკვას „სამაიას", „სიმღერას კაპიტან ბუხაიძეზე" (მუსიკა გრ. კოკელაძისა), ფარიკაობა-ცეკვას, „ტეტეს ლაშქრულს", საზეიმო მხიარულ ცეკვას, „სიმღერას სამშობლოზე" (მუსიკა გ. კოკელაძისა, სიტყვები ა. აბაშელისა).

დეკადაზე მოწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციები, მოსკოვის სახელოვნო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დეკადის დამთავრების შემდეგ მოეწყობა შემოქმედებითი კონფერენცია, რომელშიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კომპოზიტორებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მოსკოველი მუსიკოსები გლიერი, გოლდენკო, ბელი, გლასოვი და სხვები.